№ 213

1877—1897

სამშაბათი, 14 ოქტომბერი, 1897 წ.

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 213

სამშაბათი, 14 ოქტომბერი, 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 15 ოქტომბერს,
ქართულის დრამატიულის დასისაგან ეფ. ს. მესხის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება
პირველად ახალი პიესა

I

**ცოდვის შვილი**

დრ. 3 მოქ. დიუმა-შვილისა, თარგ. ქუჯისა.

II

**გარაქალა მასწავლებელო!**

ვოდ. 1 მოქ., გად. საფაროვ-აბაშიძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ეფ. მესხისა, ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, კარგარელისა, გარელი და სხვანი. ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, გამყრელიძე, კანდელაკი, კარბელი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი კ. მესხი

ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი

## მთავრობის განკარგულებანი

**სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა ნორმალური წესდება**

(შემდეგი *)

§ 58. ამხანაგობის მოქმედებათა ყოველ წლიურის ანგარიშისა და ბალანსის განსახილველად და შესამოწმებლად საზოგადო კრება ერთის წლით ადრე ირჩევს არა ნაკლებ სამის წევრისაგან შემდგარს სარევიზიო კომისიას, რომლის წევრნიც არც გამგეობის წევრნი უნდა იყვნენ, არც სხვა თანამდებობა ეჭიროთ ამხანაგობის სამმართველოში. ამ კომისიამ წარსულის წლის ანგარიშისა და ბალანსის, ყოველგვარი დავთრების, ანგარიშების, საბუთების და დამატებათა, აგრეთვე გამგეობისა და ამხანაგობის აგენტთა საქმის წარმოების განხილვისა და რევიზიის შემდეგ უნდა წარუდგინოს თავის აზრიანურთ ანგარიში და ბალანსი საზოგადო კრებას, რომელიც საბოლოოდ განიხილავს და დაამტკიცებს. ამ კომისიას უფლება აქვს, თუ საჭიროდ დაინახავს, ან საზოგადო კრება მიანდობს, გასინჯოს და შეამოწმოს ამხანაგობის ქონება ადგილობრივვე, განიხილოს როგორ უმოქმედნია გამგეობას წლის განმავლობაში და რა ხარჯი გაუწევია მთელ ქონების განახლებისა და შეკეთებისათვის და, გარდა ამისა, შეიტყოს და გამოიკვლიოს, თუ რამდენად სარგებლის მომცემი და დროს შესაფერი ყოფილა ამხანაგობის ესა თუ ის მოქმედება და მის მიერ გაწეული ხარჯი და რა აღებ-მიცემობა ჰქონია. ყველა ზემოდ-აღნიშნულის საგნის მისაღწევად —გამგეობა ვალდებულია ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს კომისიას. იმავე კომისიამ უნდა განიხილოს წინადვე მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვა და მოქმედების გეგმა და შემდეგ თავისის აზრიანურთ წარუდგინოს იგი ამხანაგობის წევრთა საზოგადო კრებას.

§ 59. საზოგადო კრების მიერ დამტკიცების შემდეგ წლიური ანგარიში და ბალანსი უნდა წარედგინოს მიწადმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს და დაიბეჭდოს შემოკლებით საყოველთაო საცნობელად.

§ 60. საზოგადო კრების მიერ ანგარიშის დამტკიცების შემდეგ უნდა განაწილებულ იქმნას მოგება ის ე. ი. ფული, რაც ხარჯსა და ზარალს გადარჩება. უნდა განაწილდეს იგი ამ ნაირად: % სათადარიგო თანხად გადაიდება, დარჩენილის ფულიდგან % (მანეთზედ 5%-ზედ არა მეტი) გადაიდება ამხანაგობის წევრთა დივიდენდად, % გამგეობის წევრთა და მოსამსახურეთა სასარგებლოდ, ვითარცა დამატებითი გასამრჯელო შრომისათვის, დანარჩენი წილი % განაწილდება ამხანაგობის წევრთა შორის, იმის შესაფერად, თუ თითოეულმა წევრმა რამდენი ივაჭრა ამხანაგობისაგან. ამხანაგობაში მოსამსახურეთა გასამრჯელოდ გადადებულის თანხის განაწილება დამოკიდებულია გამგეობისაგან; ხოლო ის თანხა, რომელიც გამგეობის წევრთათვის არის გადადებული, უნდა განაწილებულ იქნას საზოგადო კრების მიერ, რომელსაც შეუძლიან მისცეს გასამრჯელო გამგეობის წევრთა კანდიდატებს,'იმ შემთხვევაში, თუ მათ მონაწილეობა მიუღიათ გამგეობის შრომაში.

შენიშვნა 1. დივიდენდი მიეცემათ იმ დროს და ხანის მიხედვით, რა დროსა და ხანსაც საწევრო ფული ამხანაგობის განკარგულებაში იყო, ამასთანავე ერთს თვეზედ ნაკლები დრო ანგარიშში არ იქმნება მიღებული.

შენიშვნა 2. წევრის ხვედრის დივიდენდის კაპეიკის ნაწილები სათადარიგო თანხას ემატება.

§ 61. დივიდენდი ეძლევათ წევრთ საზოგადო კრების მიერ წლიურის ანგარიშის დამტკიცების ერთის თვის შემდეგ; მასთან ამხანაგობის წევრნი წარადგენენ საწევრო ფულის შეტანის შესახებ კვიტანციებს და საანგარიშო წიგნაკს, რათა აღნიშნოს, თუ რამდენი ფული აქვს მისაღები წევრს.

§ 62. თუ დივიდენდის პატრონი მოისურვებს, შეუძლიან ხვედრი დივიდენდი საზოგადოების კასსაში დასტოვოს, რომ ამ ფულით ახალი წილის ფული შესდგეს, თუ რომ წევრს იმაზედ ნაკლები საწილო ფული აქვს შეტანილი, რაც საზოგადო კრების მიერ არის დადგენილი. დივიდენდი, რომელიც ათის წლის განმავლობაში არ იქმნება წაღებული, სათადარიგო თანხას მიემატება.

§ 63. დივიდენდის გამოტანა შეუძლიან მხოლოდ იმ წევრს, რომელსაც ამხანაგობის კასსაში საწევრო ფული სრულად აქვს შეტანილი (§ 10); მათი დივიდენდი-კი, ვისაც საწევრო ფული სრულად არა აქვს შეტანილი, იმათსავე შეტანილს მიემატება საწევრო ფულის შესავსებად.

§ 64. თუ ანგარიშის შემდეგ ზარალი აღმოჩნდა, მაშინ იგი სათადარიგო თანხიდგან უნდა იქმნას შევსებული, ხოლო თუ ეს უკანასკნელი არ ეყო, მაშინ საწევრო ფულიდგან. როდესაც ამ რიგად იღებს საწევრო ფული, წევრნი ვალდებულნი არიან შეავსონ იგი იმ ვადის განმავლობაში, რომელსაც საზოგადო კრება დასდებს. ვინც ამ დადგენილებას არ აღასრულებს, იგი მე-15 და 17 §§-ის თანახმად, გამორიცხულ იქმნება ამხანაგობიდგან.

(დასასრული იქნება)

*) იხ. „ივერია“ 210.

—

ე ბ ო ძ ა თ სამსახურის წელთა შესრულებისა გამო კოლლეჟსკი-რეგისტრატორობა: ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე-VI ხარისხის მოხელეებს: ქუთაისისა—გ ო გ ა ვ ა ს და თავად ა ფ ა ქ ი ძ ე ს, ტფილისისას—ა ხ ა ლ კ ა ც ს და დელიჯანისას—გ ვ ა რ ა მ ა ძ ე ს; გუბერნსკი სეკრეტრობა: ბაქოს ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე-V ხარისხის მოხელეს წ უ ლ უ კ ი ძ ე ს და სიღნაღის მაზრის სამმართველოს მდივანს ბ ა ქ რ ა ძ ე ს.

გ ა მ წ ე ს ე ბ უ ლ ი ქ მ ნ ა. მღვდლის შვილი გრიგოლ თ უ შ მ ა ლ ო ვ ი—გუბერნიის სამმართველოს კანცელარიის მოხელედ.

# ფელეტონი

—

**კრიტიკა და ბიბლიოგრაფია**

თ. ს ა ხ ო კ ი ა. „რ უ ს უ ლ - ქ ა რ თ უ ლ ი ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი“. ტფილისი, 1897 წ.

(დასასრული *)

ძალიანა სცდილობს ბ-ნი სახოკია გაწმინდოს ჩვენი ენა უცხოთა სიტყვებიდგან და ამისათვის, რასაკვირველია, არა ჰზოგავს არავითარს ღონისძიებას. მაგალითად, მოუკრავს ყური, რომ საათი უცხო ენიდგან არის შემოტანილი, და შეუთხზავს თავისებური სიტყვა—საჟამე ანუ ტილოს მაგიერ გამოუძებნია ძველი სიტყვა და შემოუტანია არმენაკი. აქ, რასაკვირველია, არაფერია დასაძრახისი, მაგრამ ძნელი ის არის, რომ ლექსიკონის შემდგენელს აუღია ეს ორი სიტყვა, ორივ ძალიან გავრცელებული და მიღებული არა თუ მარტო ჩვენში, არამედ ზოგიერთ სხვა ენაშიაც და სხვები-კი, სადაც ჩვენი საკუთარი ჩინებული სამაგიერო სიტყვები გვაქვს და არც „საჟამე“-სავით თავის მტვრევა უნდოდა იმათს ამოწერას, არ შემოუტანია. ეს გარემოება ამტკიცებს ერთის მხრივ კვლავ მისის ენის უცოდინრობას და მეორეს მხრივ ეწინააღმდეგება ავტორის დაპირებას: „დავხმარებოდით ჩვენს საზოგადოებასა ენის სუფთად შენახვაში“-ო (იხ. წინასიტყვაობა). აი მაგალითებიც:

Жаровня — მაყალი. — ქართულად—მასმორი.

Задатокъ—ბეი.—„—წინდი, საწინდარი.

Искъ—დავა.—„—ძიება.

Мастеръ—ოსტატი—„—ხელოსანი.

Подлогъ — ყალბი. — Фальшивый—თაღლითი, ყალბი. } „ რიოში.

Нѣжный—ნაზი, აზიზი.—„—სათუთი, ნებიერი.

Казначей—მეუნჯე(?), ხაზინადარი.—„—მოლარე.

Занавѣска—ფარდა.—„— კრეთსაბმელი, კოზიმიტი, შარტოვანი.

Молотокъ—ჩაქუჩი.—„—კვერი, ხვერხვეტი (დიდი), ურო, ხვედა (ხისა).

Дужка—ავქაში.—„—ლავიწი, კერძოდ რაჭველებისაგან გაგვიგონია - კიბკიბა.

Удальски—ჩათუქესნურად(?!)

ვურჩევდით ავტორს გასცნობოდა ჩათუქესნებს, ეგებ საქმით შეესწავლა მათგან ამ სიტყვის მნიშვნელობა; ეგებ მაშინ აღარ ეკისრა ასეთის უხამს, ნამდვილ ჩათუქესნურ სიტყვების შემოღება ჩვენს მწერლობაში. კაცი სდევნის დიდის ხნის მიღებულს, კაი სასიამოვნო სასმენელს სიტყვებს, აქაო-და უცხოთა ენებს ეკუთვნიანო, სთხზავს კიდეც ხშირად იმათს სამაგიეროებს და თითონვე ამავე დროს შემოაქვს და ხელს უწყობს ისეთი დამყაყებული და საზიზღარ სიტყვების გავრცელებას, როგორიც არის: ჩათუქესანი, „თანა“, იაგდარი და სხვა მრავალი ამგვარი.

„თანა“ აღუნიშნავს როგორც экземпляръ, штука. ეს სიტყვა წმინდა სპარსულია; შემოტანილია ჩვენში სომხების მიერ და გავრცელებული ჩვენებურს მოვაჭრეთა და ნოქართა შორის. სხვაგან, თუ არ იმათ შორის, ვერც შეჰხვდებით ამ სიტყვას. იხმარება ამასთანავე ისე-კი არა, როგორც მოჰყავს ბ-ნ სახოკიას—„თანა“, არამედ ისე, როგორც ამბობენ თვით სპარსელები—დანა (დაჰანე—ცალი; შასთ დაჰანე—სამოცი ცალი; დვისთ დაჰანე—ორასი ცალი; ბისტ დაჰანე—ოცი ცალი). ხოლო ბ-ნი სახოკია მოჰრიდებია ამ სახით ხმარებას, რადგან იგივე სიტყვა, დანა უპირველეს სხვა მნიშვნელობით იხმარება ქართულს ენაში და შეუცვლია „თანა“-დ, მაგრამ დაჰვიწყებია, რომ ეს სიტყვაც ძლიერ ხშირად იხმარება ქართულს ენაში სრულიად სხვა მნიშვნელობით: „სულთათანა“, „ლექსიკონთათანა“, „თანამოაზრე“ (ერთი მოაზრე?), „თანამშრომელი“ (ცალი მშრომელი?)...

ასევეა სიტყვა сувениръ—იაგდარი, სახსოვარი. სახსოვარი ისეთი ჩინებული სიტყვაა, რომ მასთან უპირატესობის მიცემა სხვა ამგვარის მნიშვნელობის სიტყვისა ღ ისიც ნამეტნავად არა ქართულისა მომაკვდინებელი ცოდვაა. რუსებს არა აქვს ამის მნიშვნელობის გამომხატველი სიტყვა ღ შეიტანეს სხვათა ენიდგან „სუვენირი“ და ქართველებისათვის-კი რა საჭირო იყო, რომ იმათაც შემოეტანონ უცხო ენის სიტყვა იაგდარი და ისიც „სახსოვართან“ უპირატესობით. ნამდვილად უნდა იყოს ეს სიტყვა „იადგარ“ (იად—ხსოვნა, დიგარ—კიდევ, კვლავ, სხვა) და ჰნიშნავს სახსოვარს. აქვს ეს სიტყვა (იადგარი და არა იაგდარი) თავის ლექსიკონში საბა ორბელიანს და მოუკრავს თუ არა თვალი ბ ნს სახოკიას, წარმოუდგენია, ამერიკა აღმოვაჩინეო. ნუ დაივიწყებთ, ბ ნო სახოკია, რომ თითო თქვენისთანა სახოკია არ დაელევა არასოდეს ქვეყნიერობას: სჩანს, უწინაც გვყოლია ერთი ვინმე თქვენს მაგვარი, რომელსაც მეზობელთან თავის გამოსაჩენად, ადგილას თუ უადგილოდ, უხმარია ეგ სიტყვა და მერე ძალა-უნებურად შეუტანია იგი თავისს ლექსიკონში საბა ორბელიანსაც. ნუ თუ ეგ საბუთია იმისი, რომ ეხლაც გავიმეოროთ იმ ვიღაც წინდაუხედავის შეცდომა და მშვენიერს ნამდვილ ქართულ „სახსოვართან“ მივცეთ მას უპირატესობა? დიდ არს უფალო, სახელი შენი და საკვირველ არიან, ბ-ნო სახოკია, საქმენნი თქვენნი! ასრე მოიქცა სწორედ ბ-ნი კ. ყიფიანი თავისის კულტურის გადმოენების დროს და აკი კვლავ გადასათარგმნი გაჰხადა ქართულიდგან ქართულსავე ენაზედ.

ისე გატაცებულა ბ-ნი სახოკია ენის გაწმენის წადილით, რომ სადაც ვერ უპოვნია ცოტად მაინც შესახამებელი, ძველადგანვე ნარჩენი რამ სიტყვა, მიჰყოლია და სთხზავს თვითონ. სთხზავს დაუღალავად, წარბ შეუხრელად. ამაზედ მეტი ღვაწლი კიდევ გინდათ საქართველოს და სამშობლო ენის წინაშე!?!

აი იმისი მაგალითებიც, თუ გნებავთ.

Главная дорога—დედო (?) გზა.—ეს, ვგონებ, ლეკური (დიდოური) სიტყვა უნდა იყოს.

Пальто—გვაბანაკი.—„ბანაობიდგან“ უნდა იყოს ნაწარმოები.

Черный ходъ—კურტანკარი.—ალბად მარტო კურტანიანებს შეეძლებათ იქიდგან სიარული.

Саквояжъ—მხარჩეჩი.—ეს „ჩეჩი“ ვეღარ შევიგენით, რას ჰნიშნავს.

Поры—უცნაური.—поры-ს უცნაურობისა, ჩვენის აზრით, არა სჭირს და ადვილი საცნაურიც არის. უცნაური ჰქვიან ისეთს საგანს, რომელიც მათ მოგვართაგან საკვირვლად არის განსხვავებული, მაგალითად: რუსულ-ქართული ლექსიკონი ბ ნ სახოკიასი, ჭეშმარიტად უცნაურია —оригиналъ, оригинальный.

Сюртукъ—ქუქუნა.—ქუქუნა-კი არა და ქუქენი-კი გაგვიგონია—ცხენთა ახურებასა ჰქვიან და შესაძლებელია დამოკიდებულებაც რაიმე ჰქონდეს ერთს მეორესთან,—ეგ ბ-ნს სახოკიას ეცოდინება, ჩვენ ვერ მივუხვდებით.

მაგრამ წარმოიდგინეთ, ამ უცნაურობითაც აღარა კმაყოფილდება ბ-ნი სახოკია. იქამდე წათამამებულა, რომ წინადადებებსაც აღარა სტოვებს რუსულს ენაზედ.

Свѣтскій человѣкъ—წუთი სოფლის მაყურებელი კაცი.—ეხლა ვკითხოთ ბ-ნს სახოკიას: რას ჰქვიან ტერმინივით რამ სიტყვა და რას ჰქვიან აღსნა. მაგრამ აღსნაც არის

*) იხ. „ივერია“ № 212.

გადაყვანილ იქმნა: ახალბაიაზეთის მეორე საბოქაულო ნაწილის ბოქაული თავადი ვაჩნაძე—ერევნის მაზრის მეოთხე საბოქაულო ნაწილის ბოქაულად.

# ახალი ამბავი

*** გუშინ, 13 ოქტომბერს, ქალაქის საბჭოს ხმოსანმა კ. ც. ბუტკევიჩმა ქალაქის გამგეობას მოახსენა, გთხოვთ ხმოსანის თანამდებობისაგან განმათავისუფლოთ, რადგანაც სამსახურის გამო ძლიერ ხშირად მგზავნიან ხოლმე ქალაქიდგან და არ შემიძლიან საბჭოსა და კომისიების კრებებს დავესწროო.

*** ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ა. ი. მიტკევიჩმა ამ დღეებში მოხსენება მიართვა ქალაქის გამგეობას შესახებ იმისა, რომ შეცვლილ იქმნას წეს-რიგი საქმეთა განხილვისა ქალაქის საბჭოში, რადგანაც აწინდელის წეს-რიგის წყალობით საქმის განხილვა ძლიერ გვიანდება ხოლმე. ეს ხმოსანი ამტკიცებს, რომ სამოქალაქო დებულების 66 მუხლის ძალით, თუ საქმე ერთს კრებაზედ არ გაირჩა, შემდეგის დღისათვის უნდა გადაიდოს და არა შემდეგის ორშაბათისთვისაო, როგორც ეხლა იქცევა საბჭო. გარდა ამისა ხმოსანი ამბობს, რომ საბჭოს მიერ საქმეთა განხილვას ის გარემოება აბრკოლებს, რა ოქმში სწერენ ხოლმე მთელს კამათობას, რომელსაც გამოიწვევს ხოლმე ამა თუ იმ საქმის განხილვა. სამოქალაქო დებულების 75 მუხლის ძალით-კი ოქმში მხოლოდ ის უნდა ჩაიწეროს, როგორ გადაწყდა ესა თუ ის საგანი.

მესამე დამაბრკოლებელი მიზეზი ის არის, ბ-ნის ბუტკევიჩის აზრით, რომ საბჭოს ხმოსნებს ძლიერ გვიან ეგზავნებათ ხოლმე სია განსახილველ საგნებისა, დრო არა აქვთ, რომ განსახილველი საქმე შეიგნონ და იმიტომ საბჭოში დიდს სჯა-ბაასსა და კამათობას უნდებიანო.

*** კვირას, 12 ოქტომბერს, ქართულმა დასმა წარმოადგინა სარდუს კომედია „ქ-ნი სან-ჟენი“, რომელშიაც უმთავრესს როლს სან-ჟენისას ასრულებდა ეფ. მესხისა, ხოლო ნაპოლეონისას—კ. მესხი. ეს პიესა წარსულს სეზონში რამდენჯერმე იყო დადგმული და ეხლაც განიმეორეს. პიესამ საერთოდ, პირველ ორ მოქმედების გარდა, კარგად ჩაიარა. საზოგადოება საკმაოდ ბევრი დაესწრო წარმოდგენას.

*** ქალაქის გამგეობის ცნობებიდგან სჩანს, რომ სექტემბერში ქალაქის სასაკლაოზედ დაუხოცნიათ: სხვილ-ფეხი საქონელი 2192 ცალი, ცხვარი—7152, ღორი—25.

*** გუშინ, 13 ოქტომბერს, სამკურნალო-სასანიტარო ინსპექტორმა მოახსენა ქალაქის გამგეობას, რომ ტფილისის ბაზრებში ძლიერ ბევრი მარგარინი გაჩნდა, რომელსაც ერბოს ფასადა ჰყიდიანო. ქალაქის გამგეობამ სასტიკი განკარგულება მოახდინა—თვალ-ყური ადევნოს პოლიციამ მარგარინის ვაჭრობას და ვინც ერბოს ფასად გაჰყიდის, სამართალში იქმნება მიცემული.

*** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ანბანის შემდეგ მეორე საკითხავი წიგნი, შედგენილი სათავადაზნაურო სკოლის მასწავლებლის არისტო ქუთათელაძის მიერ.

*** დღეს, 14 ოქტომბერს, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება ექმნება, რომელზედაც განხილულ იქმნება, სხვათა შორის, ისიც, თუ რა დროს მოხდეს საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო კრება. წლიურ კრებაზედ მოხდება საბჭოს წევრთა ამორჩევაც.

*** ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაუგზავნა ბაქოს ოლქის სასამართლოს თვისი სრული განაჩენი ბ-ნ სტაროსელსკის მოკვლის შესახებ, რათა ეს განაჩენი გამოეცხადოს ბრალდებულთ. ამბობენ, რომ ბრალმდებელი არ დასთანხმდა განაჩენს ბრალდებულის ბაკიხანოვის გამართლების გამო და საქმე სენატში უნდა გადიტანოსო.

*** ქალაქის სასაკლაოზედ უკვე დაარსდა სამიკროსკოპო სადგური დაკლულ ღორების გასასინჯად. პარასკევს, 10 ოქტომბერს, გამოსცადეს ამ სადგურზედ სამსახურის მსურველნი. ჯერჯერობით მიღებულ იქმნა 7 კაცი. ამათ შორის: ქ-ნნი ბეკი, ტოლმაჩევისა, კუზანოვისა და როხლინისა.

*** მომავალ წლიდგან ტფილისის რეალურ სასწავლებელთან არსდება პანსიონი. პანსიონი იქმნება ცალკე სახლში, რეალურ სასწავლებლის მახლობლად.

*** ქალაქის ქუჩების განათების მოიჯარადრე ტერ ვართანიანცი კვლავ დააჯარიმეს 100 მანათით იმის გამო, რომ კუკიაში ქუჩებს კარგად არ ანათებს.

12 ოქტომბერს, დილით, ვორონცოვის ქუჩაზედ, თავ. სუმბათაშვილის ახალ შენობაში იპოვნეს ახალგაზდა ჭაბუკის გვამი, ყელ-გამოჭრილი. გვამი ტფილისის მცხოვრებლის ვიღაც დარჩოსი აღმოჩნდა (გვარი ჯერ არ იციან). ვიღასაც დანით ყელი გამოეჭრა. მკვლელი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

*** შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოგზავნილი ბეითალი ბ-ნი ჩეგოზი ტფილისის გუბერნატორმა გორის მაზრაში გაჰგზავნა საქონლის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად.

*** 9 აგვისტოს ამიერ კავკასიის რკინის გზის მატარებლით მივიდა ბათუმში საიმპერატორო სასახლის მინისტრად ნამყოფი გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი და შუადღის 12 საათზედ „ცესარევიჩ გიორგი“-ს გემით ბათუმიდგან წავიდა.

*** ამას წინად სტამბოლის მცხოვრებმა სომეხმა ქალიშვილმა ანნა თელანიანმა, სტამბოლის სომხურ გაზეთების სიტყვით, მიიღო თურმე პარიჟის უნივერსიტეტიდგან მოწმობა მკურნალობისა. თელანიანს პირველდაწყებითი სწავლა მიუღია სტამბოლის რიპსიმიანცის დედათა სასწავლებელში.

*** მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კავკასიის რწმუნებული საშუალო სასოფლო სამეურნეო სასწავლებლის პროექტის შემუშავებას შეუდგა, რომელიც უნდა დაარსდეს დუშეთის მაზრის სოფ. ოძისს თავ. ზ. გ. ერისთავის მამულში. ამ აზრით განზრახვა აქვს სამინისტროს რწმუნებულს ამ დღეებში დაათვალიეროს ხსენებული მამული.

*** ქუთაისის ქალაქის მოურავმა მიჰმართა ამიერ კავკასიის რკინის გზის მმართველობას და სთხოვა, რომ მატარებელი გააჩერონ ხოლმე გადასავალთან, ქალაქის საყასბოს პირდაპირ, იმ პირობით, რომ ქალაქს ნება მიეცეს თავისის ხარჯით გააკეთოს ამ ადგილას ბაქანი.

*** 11 ოქტომბერს კავკასიის მთავარმართებელმა გენერალ-ადიუტანტმა თავ. გ. ს. გოლიცინმა მეუღლითურთ ინახულა კავკასიის მხატვართა ხელ შემწყობ საზოგადოების გამოფენა, რომელიც გუშინწინ, 12 ოქტომბერს, იქმნა გახსნილი. მისს ბრწყინვალებას თან ახლდნენ: საზოგადოების თავმჯდომარე მ. პ. გაკკელი, კავკასიის სამხედრო ოლქის ინჟინერთა უფროსი გენერალ-მაიორი ი. კ. რუდკოვსკი, ს. ა. ვეის-ფონ ვეისენგოფი და სხვანი. გამოფენის გამგეთ მთავარმართებლის მეუღლეს კნ. მ. თ. გოლიცინისას ყვავილის კონა მიართვეს.

*** გაზ. „ახ. მიმოხ.“ ატყობინებენ ქუთაისიდგან: პეტერბურგიდგან ამბავი მოვიდა აქ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო თანახმაა ქალაქმა დაუთმოს ერთი ნაჭერი მიწა, სახელდობრ „სამეფო ბაღი“ სამოსამართლო დაწესებულებათა მოსათავსებელ შენობის ასაგებად.

*** გაზეთი „ნოვ.“ სწერს: მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ სამოქალაქო სკოლების მასწავლებლებად დანიშნონ ხოლმე ისინი, ვისაც საპედაგოგიო სასწავლებელში ანუ საშუალო სასწავლებელში დაუმთავრებია სწავლა და, გარდა ამისა, არ მიიღონ ხოლმე მასწავლებლად ისეთი კაცი, რომელსაც ფიზიკური რამ ნაკლულევანება აქვს, რადგანაც ამ მიზეზის გამო ბავშვები შესაფერის

---

და აღსნაც: წუთის სოფლის მაყურებელი თითქმის ყველაა და იგი ყველა-კი არ არის свѣтскій человѣкъ.

Скатертью дорога—ია ვარდი გიფენია.

Бой баба—სარდალი დედაკაცი.—საიდგან სადაო, ბ-ნო სახოკია?

Пажескій корпусъ—საპაჟო კორპუსი.—აი ნამდვილი ქართული, სადაც არც ერთი სიტყვა არ არის ქართული.

Околодочный надзиратель—უბნის დარაჯი და городовой—ქალაქის დარაჯი.—ნეტავი შეგვატყობინა, რომელია ამათში უფროსი? ჩვენის აზრით, უბანი მხოლოდ ნაწილია ქალაქისა, და მაშასადამე, ქალაქის დარაჯი—городовой უფროსი უნდა იყოს околодочный надзиратель-ზე.

Словарь—სიტყვის კონა.—ლექსიკონი აღარა ჰსურს, ბ-ნს სახოკიას უნდა იმის მაგიერ შემოიღოს დღეიდგან სიტყვის კონა. კარგი და პატიოსანი, იყოს ნება მისი! მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, თითონ, როდესაც სჭირდება, ისევ ლექსიკონს ეძახის. აბა დაჰხედეთ სათაურზედ მის წიგნს. რად დააწერა,—„რუსულ ქართული ლექსიკონი, რატომ არ დაარქვა „რუსულ-ქართული სიტყვის კონა“? ეს გარემოება ფრიად საყურადღებოა. ნათლად გამოსჭვირს აქედგან თვით ავტორის, ბ-ნ სახოკიას შეხედულობა თავის ნაშრომნაჭირნახულევზედ, თავის რუსულ-ქართულ ლექსიკონზედ. ცხადია, რომ ეს ლექსიკონი მხოლოდ იმისთვის არის დაწერილი, რომ წიგნი წიგნების სათვალავში ჩათვლილიყო და ავტორი ავტორებისაში. რაიცა შეეხება მის საქმეში გამოყენებას, ამას უარს ჰყოფს თვით ავტორი თავისი მოქმედებითის მაგალითით. ჭეშმარიტად, დიდი სულ გრძელობაა ეს ავტორის მხრივ. ჩვენც, რასაკვირველია, სრული თანახმა ვართ მისის აზრისა, მისის შეხედულობისა ამ საგნის შესახებ, მხოლოდ დავუმატებთ ჩვენის მხრივ აი რას.—რადგან ეს წიგნი, როგორც სახელმძღვანელო, როგორც საქმეში გამოსაყენებელი, სრულიად უარყოფილია ავტორის მიერ და ჩვენს მიერაც, რადგან იგი შედგენილია უბრალოდ, მხოლოდ სათვალავში ჩასაგდებად, ამისათვის დიდად უმჯობესად მიგვაჩნია შევინახოთ მისი მხოლოდ თითო ცალი სხვა-და-სხვა არხივში დასაცავად და დანარჩენს-კი ავუგოთ კოცონი და შეუკეთოთ ცეცხლი. ამითი ბ-ნი სახოკია მჭევრმეტყველურად დაუმტკიცებს მთელს კაცობრიობას უაღრეს სულგრძელობას ავტორისას და მიაღწევს ამასთანავე თავის საწადელსაც, ე. ი., სათვალავისათვის უკვე დაცულ იქმნება არხივებში თითო ცალი მისის ლექსიკონისა. მაგრამ ამით არ გათავდება მისი სამსახური: ის ამ ქცევით ჩვენც დაგვიხსნის ენის წაპილწვისაგან და თითონაც ხომ მისი მონატრეა, როგორც ეს სჩანს მისის წინასიტყვაობიდგან,—რომ ენა ქართული განწმენდილ იქმნას და აღარა წაიმწიკვლებოდეს. ნუ თუ იმაზედ მეტი წამწიკვლა ენისა კიდევ შესაძლებელია, რასაც წარმოადგენს დღეს ბ-ნის სახოკიას ლექსიკონი? რა უნდა იყოს, მართლაც-და, ჩვენის ენის მდგომარეობა, თუ ჩქარა არ მოისპო ამ გვარი ლექსიკონები და თუ იგი ხელში ჩაუვარდებათ და მცირედიც არის გავრცელდება ჩვენს მოზარდ-თაობაში? იმედი გვაქვს, ყოველი შეგნებული და პატიოსანი მასწავლებელი ვალდებულს შეიქმს თავის თავს, აღუკრძალოს მოსწავლე ყმაწვილებს ამ ყოვლად შეუწყნარებელის წიგნაკის შეძენა და მოპოვება.

ფერეიდანელი ქართველი

## კრებაზედ

ესკიზი

(დასასრული *)

ბევრი, ძალიან ბევრი ილაპარაკა ამ კრებაზედ დამსწრე განათლებულმა ახალგაზდობამ, მხოლოდ მუშები ისხდნენ გაჩუმებული და ანთებულ სანთელსავით შესცქეროდნენ ორატორებს... იქნება ეძინებოდათ კიდეც, იქნება მასხარადაც იგდებდნენ მოლაპარაკეთა მრავალ სიტყვაობას, როგორც გაიფიქრა კიდეც დათუა გულცივაძემ. მაგრამ არა! აი რა სთქვა ამ კრებაზედ, სხვათა შორის, ნიკოლამ.

— ჩემს აზრსა თხოულობთ, ბატონო თავმჯდომარევ! აბა, მე რა უნდა მოგახსენოთ, ერთი უბრალო, უსწავლელი კაცი ვარ! ნუ შემრისხავთ, თქვენი ჭირიმეთ, თუ უბირი სიტყვა მომივიდეს... ოხ, ნეტა შემეძლოს ეს ჩემი გული ამოვიღო და წინ გადაგიშალოთ, მაშინ გაიგებთ რასა ვფიქრობ, მაშინ წაიკითხავთ ჩემისა და ათასის ჩემისთანას გულის ნადებსა. ჩვენ გვწყურიან წინსვლა, ქვეყნის გაგება, ადამიანობა... მე თქვენში, ნასწავლებში, ვხედავ ხსნის იმედსა, მაცხოვარივით გიყურებთ, გაგვიძეხით წინ, ჭკუა გვასწავლეთ და... სიყრმეს გეფიცებით, ერთი გლახა დუქანი მაქვს და საზოგადო საქმეს შემოვავლებ თავსა!.. აჰა, სულითა და გულით თქვენი ყმა ვარ, აბა წინ გაგვიძეხითო! ელექტრონივით დაუარა ამ სიტყვებმა მსმენელთა და გულცივაძესაც-კი გული აუტოკა. „ბიჭოს, ეს რა ყოფილაო“, სახალხოდ წამოიძახა. მაგრამ კრება სდუმდა და პასუხი ვერა მიეცა რა თავ გადადებულ მედუქნისათვის!.. ბოლოს კრება გამოირკვა ბურანისაგან და თითოეული წევრი აღტაცებით ტაშს უკრავს ნიკოლას სიტყვებს...

დასრულდა კრება! თითქოს თავმჯდომარემ იგრძნო, რომ ნიკოლას სამართლიან მოთხოვნილებას—წინ გაძღოლას—კრებაზე დამსწრე განათლებულ ყმაწვილკაცობის ბაქიაობით ვერას უშველითო, ორიოდე სიტყვით გაიმეორა წევრთა გადაწყვეტილებანი და კრება დაბოლოვებულად გამოაცხადა.,.

III

სამწუხაროდ, ნიკოლას სიტყვების ზედ გავლენა წუთიერი გამოდგა! მართალია, თითოეულ წევრს, გარეთ რომ გამოვიდნენ, სახე ულიმოდა, თითქოს კმაყოფილნი არიან, რომ ეს საღამო მუქთად არ დაჰკარგეს და საზოგადო საქმის მზრუნველობაში გაატარესო, მაგრამ ეს სიამოვნება, ეს ლაღობა და მხიარულება უფრო ღამის გრილმა ნიავმა და ფართო ქუჩამ გამოიწვია.

— თქვენ რომელის გზით მიბრძანდებით, ბატონო ტასო... გნებავთ გაგაცილებთ, უთხრა გულცივაძემ ტასოსა.

— გმადლობთ! მე კვირიკემ უნდა გამაცილოს, ზრდილობიანად მოიშორა ტასომ.

— ბოდიშს ვიხდი, რომ არ შემიძლიან თქვენის სურვილის ასრულება, სიტყვა ჩამოართვა კვირიკემ—მართამა მთხოვა ვახშმად.

— მაშ ნუ შესწუხდებით! ტუჩის კვნეტით უთხრა ტასომ კვირიკესა და გამოემშვიდობა. გულში-კი ჰფიქრობდა: „მართა, მართა, რა ეშმაკიაო“! ამასობაში სხვა ქალებმა მალე იპოვეს გამცილებლები და სიცილმხიარულებით წყვილ-წყვილად გაიფანტნენ სხვა-და სხვა ქუჩაში. სრულიად დაშორების დროს, წევრებმა ერთმანეთს ღამე მშვიდობისა უსურვეს, კოდალასა და ბესარიონის გარდა, და ქუჩაში მისწყდა წევრთა ფეხის ხმა...

— ესეც შენი კრება! ჰფიქრობდა თავისთვის ბესარიონი; რა გავაკეთეთ, რა ვისწავლეთ, რა გამოვიტანეთ?... არც აზრი, არც მტკიცე მიმა-

*) იხ. „ივერია“ № 210.

პატივისცემით არ ეკიდებიან უფროსებსაო.

⁂ ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ მთავრობას აზრადა აქვს კავკასიაში რამდენიმე ახალი სახაზინო პალატა კიდევ დააარსოსო. როგორც გაზ. „Русск. Вѣд.“ იუწყება, ამიერ კავკასიაში ორი სახაზინო პალატა იქმნება დაარსებული: ერთი ქუთაისის გუბერნიისა და ყარსის ოლქისთვის, ხოლო მეორე ერევნისა და განჯის გუბერნიებისათვის. ეს პალატები მომავალ 1898 წელს ნახევარში იქმნება დაარსებული.

⁂ ს. ბატარძეული, (ტფილისის მაზრა). შუა გულ ზაფხულს აქეთ აქ საქონლის ჭირია გავრცელებული. მართალია, ჭირის მოსასპობლად ბეითალი ბ-ნი ალაპოვი ხშირად დადის, ხალხსაც თარჯიმანის შემწეობით დარიგებას აძლევს, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ჭირი აქამდის არ მოსპობილა.

ხალხში კარგა ხანია, რაც ციებცხელებაა გავრცელებული. კიდევ კარგი, რომ საგარეჯო ახლოა და იქაურ საავადმყოფოდგან მუქთად გამოაქვთ წამლები, თორემ ამოდენა ავად მყოფთ რა ეშველებოდათ?!.

⁂ სოფ. ნინო წმიდა (ტფილისის მაზრა). 10 ოქტომბერს აქ ერთი უბედურება მოხდა. ორს გარესჯელს კაცს ნინოწმიდელ ნ. ძულიაშვილის სათივეზედ ვენახში მიერეკათ ხარები და თივა ქურდულად ეჭმევინათ. ძულიაშვილს მოუსწვრია, თოფიც თანა ჰქონია და გარეჯელებისთვის ჩხუბი დაუწყია. გარეჯელებს წაურთმევიათ თოფი, ერთს მათგანს, გვარად ურდულაშვილს, თივის პატრონ ძულიაშვილისთვის დაუცია და სასიკვდილოდ დაუჭრია. მკურნალი ჩქარა მოუყვანიათ საგარეჯოდგან, მაგრამ არაფერი ეშველა და დაჭრილი დღეს საღამოს ჭრილობისაგან გარდაიცვალა.

⁂ ქ. ფოთი. როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ჩვენს ქალაქში დაარსდა ამ ჟამად საკვირაო სკოლა. სწავლა დაიწყო 28 სექტემბერს და ასწავლიან რუსულ წერა-კითხვას. მოსწავლეები დადიან ფოთის საქალაქო სასწავლებელში და სწავლობენ დილის $11^1/_2$ საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის. სასწავლებლის ზედამხედველობა მინდობილი აქვს სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორს ვ. პ. პლახოდნიკოვს და მასწავლებლად დანიშნულნი არიან ამავე სასწავლებლის მასწავლებლები. მოსწავლეთა რიცხვი არ აღემატება 30—35, თუმცა მსურველნი-კი ბევრნი არიან. ყველა ეს დიდად სასიხარულო და სასიამოვნო ამბავია, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ თუმცა მოსწავლეთა რიცხვი მომეტებულ ნაწილად ქართველები არიან, მაგრამ არ აძლევენ ისეთ სახელმძღვანელოებს, რომლითაც ქართველებს ადვილად შეუძლიან შეითვისონ რუსული ენე, სახელდობრ: „Русское слово“-ს, სამაგიეროდ აჩერებენ ხელში ლევიცკის „Курсъ русскаго языка“-ს და მოდი ახლა შენ და ასწავლე ამ სახელმძღვანელოს შემწეობით. ძალათ ცხონებას რომ იტყვიან, სწორედ ეს არის!...

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. კიწია**, (სენაკის მაზრა). მეორე წელიწადია, რაც აქ დაარსდა მთავრობის ხარჯით ეგრედ წოდებული მეორე კლასის საეკლესიო სამრევლო სკოლა, რომელშიაც, სიმართლე უნდა მოგახსენოთ, საპედაგოგიო საქმე ჯერჯერობით რიგიანად მიდის და უეჭველია ამას იქით დღითი დღე უფრო და უფრო სანატრელად შეიქმნება მისი მდგომარეობა, თუ მმართველი ამავე სკოლისა მ. ბლაღ. ჩაჩიბაია ამას იქითაც ისე გულ-მოდგინედ და დაუღალავად იშრომებს ამ სკოლისათვის, როგორც დღემდე და დღეს ეწევა ამ წმიდა საქმეს.

სხვა მრავალ სიკეთესთან მისის თხოვნით ამ სამოსწავლო წლიდამ ხსენებულს სკოლაში გაიმართა სამეურნეო განყოფილება, რომლის მასწავლებლად საეპარქიო საბჭოს მიერ დანიშნულ იქმნა ქუთაისის სამეურნეო სკოლაში სწავლა დამთავრებული ყმაწვილი კაცი ვ. წიაწიკაძე. ახალი მასწავლებელი უკვე შეუდგა თავისის საგნის სწავლებას. ამ სკოლის უფროსს განყოფილებაში ასწავლის მოსწავლეებს თეორიასაც და პრაქტიკასაც სკოლისავე მიწაზედ, რომელიც სივრცით თორმეტ ქცევამდეა აზ. ჩაჩიბაიების მიერ შემოწირული. დიდად სასიამოვნო სანახავია, როდესაც შეკრებილან აქაური მოსწავლენი და აღტაცებით ისმენენ სხვა და სხვა ცნობებს მცენარეების მოვლა-მოშენების შესახებ დიახ ყველა ეს ასეა, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ ის სამწუხარო ამბავიც, რომ ამ უებარის საქმის წარმართვას ძალიან უშლის ხელს ნივთიერის საშუალების ნაკლებულობა და ჭლამის სიცოცხლეც მოუსპოს, თუ დროზედვე რაიმე წყარო არ აღმოგვიჩინა ამის ასაცილებლად გურია-სამეგრელოს ეპარქიის საეკლესიო სამრევლო სკოლების მეთვალყურემ ბ-ნმა თ. ჟორდანიამ.

საქმე ის არის, რომ ჯერჯერობით მთავრობა ამასათვის არაფერს იძლევა. ასე გასინჯეთ, მასწავლებელს არც-კი ეძლევა ჯამაგირი, ხოლო რჩენა მისი ამ დრობით სკოლის მეთვალყურეს აქვს საკისრი, მაგრამ, მოგეხსენებათ, „ერთი კაცი ჭამაშიაც ბრალიაო“. მალიან კარგს იქმოდნენ გულშემატკივარნი ამა საქმისა, რომლებიც სიტყვით დიდნი მადლობელნი არიან ბლაღ. ჩაჩიბაიასი, საქმითაც რომ არ დაიზარებდნენ ცოტაოდენ შემწეობის აღმოჩენას ამ ფრიად სასარგებლო საქმის წარსამატებლად ჩვენს მივარდნილს სოფელში.

გურული

# რუსეთი

—

რადგანაც სატყეო ინსტიტუტის სტუდენტებს არა აქვთ ხოლმე საკმაო პრაქტიკული ცოდნა სწავლის დამთავრების შემდეგ, ამიტომ განზრახვა აქვთ სასწავლებლის უკანასკნელი კურსი პრაქტიკულ მეცადინეობას მოანდომონ. ამ აზრით უკანასკნელ კურსის სტუდენტებს სხვა-და სხვა სამუშაო საგნების ადგილობრივ შესასწავლად გაჰგზავნის აქეთ-იქით ინსტიტუტის მთავრობა და შემდეგ გამოსცდის პრაქტიკულად საგნების ცოდნაშიაც.

— ვაჭრობისა და სამანუფაქტურო დეპარტამენტს უკვე დაუმთავრებია პროექტი სამრეწველო საგნებზედ ხარჯის დადებისა და განზრახვა აქვს წარუდგინოს სახელმწიფო საბჭოს მისდა განსახილველად.

— რკინის გზათა დეპარტამენტის განკარგულებით მომავალ რუსეთის რკინის გზათა წარმომადგენლების კრება, სხვათა შორის, განიხილავს იმასაც, თუ რა შეღავათით უნდა მიეცეთ ნება მგზავრთ ბარგის გადატან-გადმოტანისა სხვა-და-სხვა სადგურების ბილეთებით.

— საშუალო სამეურნეო სასწავლებლებში განზრახვა აქვთ შემოიღონ ახალი საგანი, რომლითაც მოსწავლეთ უნდა ასწავლონ ხილისაგან არყის დამზადება.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სასოფლო საეკონომიო განყოფილება შესდგომია კავკასიაში შინა მრეწველობის გავრცელების პროექტის შემუშავებას.

— მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ა. ს. ერმოლოვის თავმჯდომარეობით დაარსებული კომისია დედათა შორის უმაღლესს სამეურნეო განათლების გავრცელების შესახებ ნოემბრიდგან დაიწყებს მუშაობას.

# უცხოეთი

—

**კრიტი.** ოსმალეთისა და საბერძნეთის ზავის შესახებ მოლაპარაკების შემდეგ ევროპის დიპლომატებისა და ჟურნალ-გაზეთების უმთავრესს სალაპარაკო საგნად კრიტი და იმის საქმეები გამხდარა. ამ საგნის შესახებ სჯიან როგორც ჟურნალ-გაზეთები, აგრეთვე დიპლომატები, მაგრამ საქმე საქმეზედ ვერ მიიყვანეს და უთუოდ ჯერ კიდევ ბევრი დრო გავა, ვიდრე იგი უკანასკნელად და საბოლოოდ იქმნება გარდაწყვეტილი. ეს საქმე ისევე გაჭიანურდება, როგორც ოსმალეთ-საბერძნეთის ზავის შესახებ მოლაპარაკება გაჭიანურდა. აქაც, როგორც იქ, ესრედ წოდებულ ევროპის სახელმწიფოთა „კანცერტი“ ერთობას ვერ

---

რთულება! მაშ რაღა გვქონდა?! მწარედ ჩაეკითხა ცერცვაძე თავისს თავსა და თავჩაქინდრული გაუდგა გზასა. ის იყო სახლში შესვლასაც აპირებდა, რომ ნიკოლა წამოეწია და გამოეხმაურა.

— ბატონო ბესარიონ!

— შენა ხარ, ნიკოლა?

— მე-კი ვარ ბატონო, მაგრამ ნუ მიწყენ და ერთი რამე უნდა გკითხოთ.

— ორი ბძანეთ, ჩემო ბატონო!

— ახლა რა უნდა ვქნათ? რომ ვერ მივხვდი, რითი გავათავეთ ჩვენი კრება? გაუბედავად წარმოსთქვა ნიკოლამ.

— რითი? სწორე გითხრა, ნიკოლა, მე შენთვის უნდა მეკითხა.

— ვაი! გაიკვირვა ნიკოლამ და მცირეოდენის სიჩუმის შემდეგ დაუმატა. რავქნა, თუ-კი ნასწავლები არ გვიჩვენებენ გზასა, მაშ ჩვენ დაბალმა ხალხმა რა უნდა ვქნათ. გაიძახიან: ეს გავაკეთოთ, ის გავაკეთოთ, ხოლო საიდგან? როგორ? ამას კი არავინ ამბობს, მარტო ერთმანეთს სიტყვას პირში აცლიან და ერთმანეთის დამცირებას სცდილობენ. ეჰ! ლამის მაგათშიაც არ მოვსტყუვდე?!

— ეტყობა ჯერ დაუმწიფებელნი ვართ! ყრუთ უპასუხა ბესომ და ნიკოლა თავისს ბინაზედ შეიწვია.

— ოხ, ნეტა სიტყვას საქმედ ვაქცევდეთ ხოლმე და თუნდა ჩემი სიცოცხლე შუა გაიყოსო! გულ-წრფელად წამოიძახა ნიკოლამ და ორივენი კარებს ამოეფარნენ...

—

თითქოს ვგრძნობ, რომ დრო არის მეც დავასვენო ჩემი ჟანგიანი კალამი მაგრამ მეორე გულით მინდა რამდენიმე სიტყვით მოგახსენოთ, რას აკეთებდენ ჩვენგან ახლად გაცნობილი ყმაწვილი ხალხი კრების შემდეგ, იქნება ცნობის მოყვარე მკითხველს ეყურადღებებოდეს.

სახელდახელოდ მომზადებულ ვახშამს შემოსხდომოდნენ პირმოცინარე მართა და განათლებული კვირიკე, მადიანად შეექცეოდნენ სუფრაზე მოტანილ სანოვაგეს, მხოლოდ ერთმანეთს-კი თვალებითა სჭამდნენ. სამწუხაროდ, ერთი მათგანი და სახელდობრ კვირიკე, ოსტატურად იქცეოდა. მისი გამოცდილება ისხლეტდა მართას მიერ ეშხით ნასროლ კეკლუცობას და გულამდის არ უშვებდა, თუმცა თავი-კი ისე ეჭირა კვირიკეს, თითქოს ეს არის ამ წუთში სიყვარულს გამოუცხადებს ამის მომლოდინე მართასა და სხვა ქალებს პირში ჩალა გამოვლებულ დასტოვებსო. მაგრამ, ეშმაკად, ასე არა ხდებოდა!. ერთმანეთის ქებაში სანოვაგე სუფრიდგან ნელ-ნელა ჰქრებოდა და მეორე ოთახიდგან რომ ხვრინვის ხმა არ მოდენილიყო, ჩვენ მოარშიყეთ კიდევაც გადაავიწყდებოდათ, რომ ქალაქის საათმა ორჯერ ჩამორეკა, დაავიწყდებოდათ ისე, როგორც დაავიწყდათ კრება და მისი წევრები!...

ნახევრად დაბნელებულ ოთახში ფეხ-აკრებით შეიპირა ტასო დიდგულაძე და კედლის სარკის წინ ტანისამოსის გახდა დაიწყო... სახეზე უკმაყოფილების ღრუბელი გადაჰკვროდა.

— რითი მჯობიან მართა, რომ სულ ამას ელაპარაკებოდა ი კვირიკეა თუ რაღაცა... გაიფიქრა ტასომ, როდესაც გულ გადაღეღილი სარკეში თავისს სახეს დააცქერდა.

— მოხერხებით, თითონვე უპასუხა თავისს გულში ნათქვამს ტასომ და დაფიქრდა... ვინ იცის როდის გამოერკვეოდა ტასო კვირიკესა და მართაზე ფიქრისაგან, იმისს დედას რომ არ გამოღვიძებოდა და დაბალის ხმით არ ეკითხნა:

— მოხვედი, შვილო, ხო მოკვდი უძილობით, შე დედა-მკვდარო!

— რა დროს ძილია, დედი! ამის მეტი ვერა უპასუხა რა დედას ფიქრისა და სიბრაზისაგან გაბრუებულმა ტასომ.

კრებაზედ მყოფი მუშები მკვდრებივით მიწვენ თავ-თავისს საწოლზედ და დაღალულებს მალეც დაეძინათ. მხოლოდ ძილში არეული სიზმრები ეზმანებოდათ და მწარედ გმინავდნენ.

გულცივაძე და კოდალა ის იყო დასაძინებლად ემზადებოდნენ. (ამ ღამეს ერთად იყვნენ), მაგრამ დათუას ჯერ სიცილი არ გაეთავებინა: მოდათაა კრება, რას იზამ? ხითხითებდა უდარდელად გულ-ცივაძე... მაგრამ კვირიკესთანა ქეიფში მაინც არავინ არის, თაიგულია, თაიგული ჩვენის ქალებისა! უხამსად გადაჰკრა ქალებს დათუამ და ლოგინში ჩაწოლილს კოდალას უღიტინა.

— დაიცა, შე ოჯახ ქორო!.— წამოიძახა კოდალამ. მე კიდევ ი ვილაც ბესარიონია, იმაზედ ვფიქრობდი, და მერე ნიშნის მოგებით დაუმატა—ჰე! კბილებში ქაფი ვადინე თუ არა!

— აბა შენთან ის რას მოვიდოდა, გააწყვეტინა დათუამ. კაცო, ნუ თუ არ იცი, რომ შენ ცარიელი გოგრა ხარ! გაეხუმრა გულცივაძე და მოჰყვა ხარხარს. ბევრ ხანს იოხუნჯა დათუამ, ერთი ორჯელ კოდალასაც მოუწოდა, მაგრამ დიდ თავამ ხვრინვით უთხრა:

— ეშმაკებო, მაშ მიიღეთ ხვალამდისინ ჩემი ცოდვილი სულიცაო! სთქვა დათუამ და ისიც ლოგინში ჩაწვა.

პეტრე ბრუციანიშვილი დინჯათ მიდიოდ-მოდიოდა ოთახის ერთის კუთხიდგან მეორემდე და რაღაცას ფიქრობდა... მაგრამ, უკაცრავად, მგონი თქვენთვის არ გამიცნობებია ეს ყმაწვილი კაცი? რავქნა, კრებაზედ ხმა არ ამოუღია და მეც გონებიდგან გადამივარდა.

ეს იყო მეტის-მეტი ჩუმი ყმაწვილი. სადაც უნდა ყოფილიყო, ხმას არ ამოიღებდა, მხოლოდ თვალებ დაჭყეტილი ერთ სიტყვას არ გამოაპარებდა სხვის ნალაპარაკევიდგან და კმაყოფილებისა ან უკმაყოფილების ნიშნად ხან დაიზმუვლებდა, ხან თავს გაიქნევ გამოიქნევდა ხოლმე. ეს იყო მთელი მისი მჭერ-მეტყველება—ჭკუის გამოჩენა, თუმცა „რიგიან ყმაწვილ-კაცად“ იხსენიებოდა... რაც ზევითა სჩანდა ბრუციანიშვილი, ხუთი იმოდენა მიწაში დაძვრებოდა. ღვთის წინაშე არავის წყენაში კი არ შედიოდა და თავისს სიცოცხლეს მარტო ქალებზედ ფიქრში ატარებდა, როგორც ემანსიპაციის მომხრე, რასაკვირველია. ყველა ქალი მოსწონდა და ყველას დასამორჩილებლადაც მზად იყო. ახლა-კი ბრაზი მოსდიოდა, რატომ მართა, ტასო და სხვა ქალები მე კი არ მაქცევდნენ ყურადღებასაო. „ესა ჰკლავდა, ეს აწუხებდა და კრება“ არც-კი მოჰგონებია.

არც სათვალებიანი ყმაწვილი კაცი იყო მოსვენებით! თუ ბრუციანიშვილი დინჯად მიდი მოდიოდა კედლიდგან-კედლამდის, სათვალებიანი ფეთიანივით მირბი მორბოდა და სულ ლოთივით იფურთხებოდა.

აი, ამ ლექსით მოსთქვამდა თავისს უბედურების დღეს ბ-ნი სათვალებიანი და რაღა კრების ჯავრი ექნებოდა?!..

ჩვენ ნაცნობებში, ისევ ისე ნიკოლა და ბესო დიდ ხანს ლაპარაკობდნენ კრების შესახებ და როგორც თავისა, ისე საერთოდ, ყველას უსაქმურობა-უვარგისობის გამო გული მოსდიოდათ.

დრო გადიოდა, ღამე იწურებოდა, ქალაქს ღრმად მისძინებოდა, მხოლოდ ჩვენი საზოგადო საქმე, ჩვენი ერთობა, ჩვენი ქართველობა სადღაც უდაბურ მინდვრად გაჰქრილიყო და იქ გულ ამოსკვნით ქვითინებდა!..

ი.—ცანი

გამოიჩენს და რამდენიმე თვე მხოლოდ დეპეშების გზავნას ერთი სატახტო ქალაქიდგან მეორეში და დიპლომატიურ მოლაპარაკებას მოუნდება. სხვაფრივ შეუძლებელიც არის, რადგანაც „კონცერტის“ ყველა წევრი სათითაოდ კრიტის საქმის თავისის სასარგებლოდ გამოყენებასა სცდილობს და თვით კუნძულის მცხოვრებთა ყოფა-მდგომარეობას მაგდენს ყურადღებას არ აქცევს. ეს უკანასკნელნი-კი ამავე დროს ერთს ცეცხლსა და წვალებაში არიან. მაჰმადიანთა და ქრისტიანეთ შორის სიძულილმა ორივე მხარე უკიდურეს მდგომარეობამდე მიიყვანა. როგორც ერთს, აგრეთვე მეორეს, შიმშილი, წყურვილი, უსახლ-კარობა და მრავალი სხვა უბედურება მოელის. შეუძლებელი და სიმართლეს მოკლებულია ის ამბავი, ვითომც ამ საქმეში დამნაშავე მარტო მაჰმადიანები, ან მარტო ქრისტიანები იქმნენ. როგორც მაჰმადიანნი დაუზოგველად ანადგურებენ ქრისტიანეთა სარჩო საბადებელს, ისე ესენი შეუბრალებლად მიწასთანასწორებენ პირველთა სახლ-კარსა და სიმდიდრეს. ხოლო ასეთის სიძულილის და მტრობის მიზეზი შეუძლებელია, რომ მარტო სარწმუნოებრივი სხვადასხვაობა იყოს, როგორც ამას ევროპის დიპლომატები და ზოგიერთი ჟურნალ-გაზეთები გაიძახიან. პირ-იქით, უმთავრესი ბრალი ამ საქმეში ევროპის სახელმწიფოთ და იმათ აგენტებს ედებათ, რომელნიც ათასობით დაძრწიან კრიტში და ზოგი მაჰმადიანთ აღელვებს, ზოგი კიდევ ქრისტიანეთ. როგორც გაზ. „Politique coloniale“ იუწყება, ამ ბოლოს დროს კრიტი ინგლისის მთავრობის აგენტებით გაივსო. ისინი სოფელ სოფელ დადიან და ქრისტიანებს მაჰმადიანთა ამოწყვეტას ურჩევენო. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი აგენტები სხვა სახელმწიფოებსაც ეყოლებათ და ბევრი მათგანი მაჰმადიანთ ურჩევს ქრისტიანების ამოწყვეტას. გულ-უბრყვილო კრიტის მცხოვრებელნიც უჯერებენ და დღესა და ღამეს ერთმანეთის ჟლეტა-ხოცვაში ატარებენ.

## დამაკვირდი

ჯერ ისეთი ბრძენი არ მოკლენია ქვეყანას, რომ ტკივილი კბილისა უდრტვინველად აიტანოს.

შექსპირი

***

უზრდურნი ყოველთვის სტყუიან: სტყუიან, რომ უზრდურნი არიან; სტყუიან, რომ ეს თავისი უზრდურება სალაპარაკოდ გახდომიათ; სტყუიან, რომ სხვათა შეწყალება სჭირიათ; სტყუიან, რომ სხვას გკრავითარს სამსახურს ვერ გაუწევენ.

მირაბო

***

ნურავის დაეკუთვნები, კიდრე შენის თავის პატრონობა შენვე შეგიძლიან.

ლათინ. ანდაზა

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ალიასკაში და ბრიტანიის კოლუმბის საზღვარზედ ოქრო აღმოჩნდა. ამერიკელები და ინგლისელები ათასობით ანებებენ თავს სამშობლოსა და ოჯახს და მიდიან მდინარე იუკონისა და კლონდიკისკენ გამდიდრების იმედით. ამბობენ, აქ იმოდენა ოქრო არის, რომ ადამიანის გონება ვერც-კი წარმოიდგენსო.

სწორედ რომ ვსთქვათ, დიდი ხანია იცოდნენ, რომ ამ ადგილას ოქრო არის. ეს ჯერ ბარონმა ვრონგალმა სთქვა 1820 წ. ამერიკელმა ვილიამ დელმა ოც-და-ათის წლის წინად შემოიარა ალიასკა და აღწერა ეს მხარე. სხვათა შორის ამანაც სთქვა, რომ აქ ოქრო არისო. სახელოვანის მოგზაურის ვიმპერის ძმამ ფრიდრიხ ვიმპერმა 1873 წელს შემოიარა მთელი ალიასკა და ამ ქვეყნის რუკაც გამოსცა. მოგზაურებმა: მილტონმა, ტოშემ და პეტროვმა კარგად იცოდნენ, რომ ამ ქვეყანაში ოქრო იყო, მაგრამ ის კი არ იცოდნენ, რა დიდი სიმდიდრეა დამარხული ალიასკაში.

უწინ ალიასკაში მხოლოდ მონადირეები მიდიოდნენ. მაგრამ მას აქეთ-კი, რაც გაიგეს, აქ ოქრო არისო, ნადირობა ფიქრადაც არავის მოსდის. ეხლა ალიასკა კოლხიდად გარდაიქცა. ხალხი ათასობით და ათი-ათასობით დაესია, თითქოს ოქროს შეძენის სურვილმა გონება წაართვაო. ამის მიზეზი სხვათა შორის ისიც არის, რომ ხალხში ისეთი ამბები ვრცელდება, ვითომ სულ უბრალო მუშა აქ დღეში 25,000 ფრანკსა ჰშოულობს.

მდინარე კლონდიკის ნაპირებზედ ეხლა დიდი ქალაქი შენდება. უეჭველია, ამ ქალაქსაც ისეთი ბედი ეწვევა, როგორიც ქალაქ იოჰანნესბურგს ეწვია. ათის წლის წინად ამ ქალაქის ხსენებაც-კი არსად იყო. ეხლა ამ ქალაქს ისეთივე ადგილი უჭირავს სამხრეთ-აფრიკაში, როგორიც ქალაქ ჩიკაგოს—ამერიკაში. ამ ჟამად ამ ქალაქში ასი ათას კაცზედ მეტი მცხოვრებია. ქალაქს ამშვენებს განიერი ქუჩები, მშვენიერი ბაღები, ელექტრონის სინათლე და ისეთი მაღაზიები, რომ პარიჟში თუ შეხვდება კაცი. სრულიად არ იქმნება საკვირველი, რომ ალიასკის ახალი ქალაქი დაუსონიც ათის წლის შემდეგ ასეთ ქალაქად გარდაიქცეს.

ქალაქი დაუსონი დააარსა ამერიკელმა ჯოე ლედიმ. ეს კაცი სწორედ იმ ჯურის კაცს ეკუთვნის, რომლებზედაც ამერიკელები ამბობენ: „რომ დაიბადა, პირში ვერცხლის კოვზი ეჭირაო“. ოცდა-ხუთის წლის წინად ჯოე ლედი უბრალო მონადირე იყო. მერე ვაჭრობა დაიწყო. 1888 წელს ჯოემ გაიგო, რომ მდინარე კლონდიკის მახლობლად ოქრო არისო. ჯოე იმ წამსვე წავიდა ამ მდინარისაკენ, რამდენსამე თვეს ითმენდა სიმშილს, სიცივეს, ბევრჯერ ძლივს გადურჩა სიკვდილს და ეხლა-კი მილიონების პატრონად შეიქნა. ჯოე ყოველ წელიწადს მიდის ხოლმე სან-ფრანცისკოსა და ჩიკაგოში, რომ გაიგოს, რა შემოულია კარგი და სასარგებლო ამ ქალაქებს, რომ ყოველივე ეს თვის მიერ დაარსებულ ქალაქ დაუსონში დააწესოს.

საზოგადოდ ისე არის ხოლმე, რომ თუ კაცმა თითონ მიახწია გულის წადილს, სხვას ხელს უცარავს ხოლმე. ჯოე ლედი იმ ხასიათისა არ არის. ის პირიქით თითონ ურჩევს ხოლმე ახალგაზდებს ალიასკაში წასვლას, თუმცა არც იმასა ჰმალავს, რომ იქ ბედის მძებნელს ბევრი გაჭირვება შეხვდება.

მართლაც და აქ ცხოვრება და მუშაობა მეტად ძნელია. მთელის რვა თვის განმავლობაში აქ მეტად სუსხიანი ზამთარია. ვაი იმათი ბრალი, ვისაც ზამთრისთვის შეშა არა აქვს მომზადებული. უეჭველად მოკვდება სიცივით. მეზობლის იმედი არავის არ უნდა ჰქონდეს. ვისაც არაფერი არა აქვს, არავინ დაეხმარება.

გზები ისეთი ძნელი გასავლელია, რომ ერთის გაზეთის კორესპონდენტს, რომელმაც ალიასკა მოიარა, ასე უთქვამს: „დღეში რომ 5000 ფრანკი მომცენ, მეორედ აღარ წავალ იქაო“.

მოგზაურობა მით უფრო ძნელია, რომ კაცმა უეჭველად თან უნდა ატაროს სამყოფი სურსათი, იარაღი და, ასე ბრძანეთ, ხეტყეც სახლის ასაშენებლად, რადგანაც აქ კაცი ოქროს გარდა ვერაფერს იშოვის. ჯოე ლედი ამბობს, ვისაც ათასი ფრანკი მაინც არა აქვს, სჯობს ფიქრადაც ნუ გაიტარებს ალიასკში წასვლას, რადგანაც ვიდრე იქ მივა, მოეწყობა და ოქროს იპოვნის, სიმშილითა და სიცივით სული ამოჰხდებაო.

რაც შეეხება ადგილის უფლებას, ეს უფლება იმას ეკუთვნის, ვინც პირველად აღმოაჩენს ოქროს მადანს. საკმარისია მხოლოდ შემოღობოს და ამ ადგილის სრული ბატონი და პატრონია. ამ გვარად აქ გამდიდრება ძლიერ ადვილია. საკმარისია მხოლოდ კაცმა ოქროს მადანი იპოვნოს, დაიფიცოს, ჩემზედ ადრე აქ ოქრო არავის აღმოუჩენიაო და მთელი ეს სიმდიდრე იმას ეკუთვნის.

ოქროს გარდა აქ ყველაფერი მეტად ძვირია. სამაგიეროდ მთელ დედამიწის ზურგზედ ისე არსადა ჰფასობს მუშაობა, როგორც აქ. სულ უბრალო მუშას, ერთის საათის მუშაობაში $7^1/_2$ ფრანკს აძლევენ (ორ მანათამდე), ვინც ეხლა ალიასკაში უკვე მისულია, უეჭველად აუარებელს სიმდიდრეს შეიძენს, რადგანაც მთელ დედამიწის ზურგზედ ჯერ არსად არ აღმოჩენილა ამოდენა ოქრო. კაცი, რომელიც მდინარე ბონონცის ნაპირებზედ ოქროს ეძებს, დღეში 10—12 ათასს დოლლარს იძენს (5—6 ათასი მანათი დღეში!). კლონდკაში უკვე ძლიერ ბევრი ხალხი გამდიდრდა, მაგრამ ასე ამბობენ, ეს სიმდიდრე სულ მცირე ნაწილს შეადგენს, რაც იქ ოქრო არისო.

ეჭვი არ არის, რომ ამოდენა ოქროს აღმოჩენა დიდს ეკონომიურს ცვლილებას გამოიწვევს. ვინ იცის, რამდენი სააქციონერო საზოგადოება დაარსდეს და გაკოტრდეს, რამდენი კაცი გამდიდრდეს და რამდენი დარჩეს ულუკმაპუროდ! მაგრამ გამდიდრების სურვილს წინ რა აღუდგება. ყველას იმედი აქვს, მე გავმდიდრდები და დაე, სხვა გაღარიბდესო.

## კორესპონდენტის თავ-გადასავალი.

ვინც-კი ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს თვალყურს ადევნებს, უთუოდ ამოიკითხავდა, რომ ჩვენს დაბა-სოფლებში ბევრი უმსგავსი ამბავი ხდება, რომელიც ღირსია გამომჟღავნებისა, მით უფრო, რომ ზოგიერთი ამბავი და წვრილმან აღვირ-წახსნილ მოხელეთა საქციელი გაზეთების შემწეობით უკვე გასწორებულა. მაგრამ, მაგარიც ის არის, რომ მართლის მთქმელს კარგი ტაიჭი უნდა ჰყავდეს შეკაზმული, რათა სთქვას სიმართლე, მოჰკურცხლოს და ამითი უშველოს თავს, თორემ, თქვენი მტერია, რომ ის ყბად-ასაღებად გახდება. სხვაგან-კი რა მოგახსენოთ და ჩვენს კურთხეულს ახალსენაკში სულ სხვასა ვხედავთ. თუ აქაური რამე-რუმე გაზეთში იქმნა დაბეჭდილი, მაშინ მოამბემ გუდა-ნაბადი უნდა აიკიდოს და მოშორდეს ამ დაბას, თორემ ისეთს ბუკსა და ნაღარას დაჰკრავენ, რომ ვაი მის ტყავს. რადა? რადა და იმიტომ, რომ ქებადიდების მაგიერ, მოხელის დაუდევრობის ამბავი რად დაბეჭდა გაზეთშიო. სხვა ნაირად რომ ვთქვათ, რატომ მჭევრ-მეტყველური ქებათა-ქება არ უძღვენი, დიდების უმწვერვალეს წერტილამდე არ აღიყვანე, რომ მით დაეკმაყოფილებინა თვისი „mania grandiosa“. პირუთვნელი და პატიოსან მოამბეს ზნეობრივი ვალია, რაც სიმართლეა, ის აუწყოს მკითხველს საზოგადოებას, რათა ამით ააშოროს შეცდომა, როგორც რედაქციას, ისე საზოგადოებას, მაგრამ რა ჰქმნას საწყალმა მოამბემ, როცა სიმართლისთვის დატუქსვა მოელის?

რად არ აქებ მოხელესაო!! დაილოცა, ღმერთო, შენი სახელი! ნუ-თუ ქება-დიდების ღირსია ის ადამიანი, რომლის განკარგულების მეოხებითაც ერთს ვითომდა „ბულვარში“ შესვლისთვის კაცები იხდიდნენ! ფულს, ხოლო ულლიანი ღორები და ბატები-კი ტა—ტა—ტა—ს ძახილით „უბილეთოდ“ არხეინად დათარეშობდნენ ბილეთიან კაცებთან? რა ვქნათ პოეტისა არ იყოს, ვინც კახაბერი არ არის, ვერ ვუწოდებ კახაბერსა. ამ დალოცვილებმა ერთი გვამცნონ: „ძალად ვინ ცხონებულა?“ სწორედ საკვირველია, სასაცილო რომ არ იყოს, ზოგიერთის აქაურის მოხელის მოქმედება! გაგონილა, თქვენი ჭირიმე, მართლის მთქმელის დატუქსვა? ვეჲო! რომელ ტიბიკონში უწერიათ იმ მოხელეებს, რომ მრისხანე კილოთი გაიძახიან: „Я его арестую и вздую!“. მახლას, მეცხრამეტე საუკუნის განათლებავ მაშ, თუ არ ქება-დიდება მოხელისა, სხვა არაფერი დასწერონ კორესპონდენტებმა, თუ რედაქციებიც გაუქმდეს?!. ეს-კი სასაცილოა და ვერ გაგვიგია!... მიუხედავად ამისა, თქვენს უმორჩილეს მონას, ამ სტრიქონების დამწერსაც, ვინ მოსთვლის, რაებს არ უპირებენ ზოგიერთი მოხელეები: „Телефонъ дуракъ, я его вздую, арестую“ და სხ.; ერთის სიტყვით, ისე გახლავართ დაჯილდოვებული, რომ თქვენი მოსაწონი. რომელს ერთს გავუძლო, „арестую“-ს თუ „вздую“-ს? ნეტავ ერთი ვიცოდე, ჩემისთანა ტაფაზედ სხვა ვინმე მოამბე იწვის? ვაფრთხილებ ყველა იმ მოამბეს, რომელიც გაზეთში წერილებს ჰგზავნის, მოხელის ქებათა-ქება დიდების დასაბეჭდი წერილები გაჰგზავნოს, თორემ გამწარებული დღე დაადგება და მერე გვიანღა იქნება თითზედ კბენანი...

ტელეფონი

## დოღი.

გუშინ-წინ, 12 ოქტომბერს დიდუბეში გაიმართა დოღი. ხალხი ცოტა დაესწრო. პირველი ჯილდო (300 მანათი) ერგო თავ. გ. ი. ორბელიანის ცხენს „ლაუნ-ტენისს“, რომელმაც ორი ვერსის მანძილი 2 წამსა და 40 წუთში გაირბინა.

მეორე ჯილდო (300 მან.) ერგო მეგრალი-ბეგ-ხიულ-გადაროვის ცხენს „ბაიადერკას“, რომელმაც ერთის ვერსის მანძილი გაირბინა 1 წამსა და 16 წუთში.

სხვათა შორის, 200 მანათი ჯილდო ერგო თავ. ლორთქიფანიძის ცხენს „პირველს“, რომელმაც 1 ვერსი და 66 საჟ. გაირბინა 1 წამსა და 24 წუთში.

სხვათა შორის ამ დოღზედ ჯილდოდ იყო 200 მანათიანი ვერცხლის ნივთი, წარმოდგენილი თავ. გ. ი. ორბელიანის მიერ. ეს ჯილდო ერგო პ. ი. ლ. „ტემირტაზს“, რომელმაც ორი ვერსის მანძილი გაიარა 2 წამსა და 49 წუთში. დოღის დროს წაიქცა ზ. ს. კობიაშვილის ცხენი „ალიარ“. თვით ბ-ნი კობიაშვილი ძლიერ დაშავებულა.

## წერილი რედაქციის მიმართ

უღრმესს მადლობას ვუცხადებ ბ-ნ ილიკო ამბაკოს ძე შარაშიძეს, რომელმაც ხიდისთავის უფასო წიგნთ-საცავის სასარგებლოდ ხელის მოწერით შეგვიგროვა ქ. ბათუმში სხვა-და-სხვა ქართულ-რუსული წიგნები და 10 მ. ფულად *).

აგრეთვე დიდს მადლობას ვუცხადებთ შემომწირველთაც. აი სია შემომწირველთა: ნინო ბერძენიშვილისამ—1 მ.; ყარამან ბერძენიშვილმა—2 მ.; გრიგოლ გრიგორიანცმა—2 მ.; გრიგოლ ელიავამ—1 მ., იონიდე ქიქოძემ—1 მ.; თეიმურაზ თოფურიამ—1 მ.; გიორგი ჩხეიძემ—1 მ.; სარდიონ ქუთათელაძემ—1 მ.; სულ 10 მ.

რადგანაც წიგნების შემომწირველთა სია ხელთ არა გვაქვს, ამიტომ ვთხოვთ ბ-ნ ილიკო შარაშიძეს თითონ გამოაცხადოს.

უღრმესს მადლობას ვუცხადებთ აგრეთვე ბ-ნ კონსტანტინე თავართქილაძეს, რომელმაც იმავე წიგნთ-საცავის სასარგებლოდ შემოგვწირა 27 მ. და 75 კ. სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

გამგე ხიდისთავის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოსი პოლიევქტო კალანდაძე

*) 5 მანათი წამომღებს გადასცდენოდა ყელში და ჩვენამდე აღარ მოუღწევია. კარგია მაინც, თუ თითონ მშვიდობით გადარჩა.. პ. კ.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

13 ოქტომბერი.

**დარმშტადტი.** ხელმწიფე იმპერატორთან იყვნენ ჩერნოგორიის თავადი და პრინცი ფრანც ბატენბერგისა.

**სუაკიმი.** გემი „კოსტრომა“ კლდეს დაეჯახა და ზედ შერჩა. მისაშველებლად გემებია გაგზავნილი. გემზედ მშვიდობიანობაა, ყველანი კარგად არიან; ნათესავებსა და ნაცნობებს სთხოვენ ნუ შესწუხდებიან.

**ვაშინგტონი.** დაიწყო კონფერენციის კრება შეერთებულ შტატებისა, რუსეთისა და იაპონიის წარმომადგენელთა ბერინგის ზღვაში კოტიკების ჭერის შესახებ.

**პარიჟი.** იუსტიციის მინისტრი მურავიოვი პეტერბურგს წავიდა. იმის აქ ყოფნაში საფრანგეთის მთავრობამ მოლაპარაკება დაუწყო რუსეთთან სალიტერატურო საარტისტო კონვენციის შესახებ. მინისტრი საზოგადოდ მომხრეა კონვენციისა.


## განცხადებანი

დაიბეჭდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

ამბავი

**ცხოველთა სამეფოსი**

შედგენილი ნ. რუბაკინის მიერ

სურათებით

თარგმანი გრ. ყიფშიძისა

**ფასი 50 კაპ.**

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება . . | 8 | „ |
| იგივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ . | 8 | 20 |
| ქართლის ცხოვრება 1 წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ნ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| კეთილი ძაღლი . . . | „ | 30 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჭყონიასი . . . . - | 1 | 50 |
| ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია | „ | 20 |
| აკაკი წერეთელი. ბიოგრაფია . . . | „ | 15 |
| ამირან-დარეჯანიანი . | 1 | „ |
| ჩვენი ახალი მწერლობა სალარაძისა . . . , | „ | 40 |
| ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა . . . | „ | 60 |
| გედები საყმაწვილო წიგნი | „ | 20 |
| პარტახი მოთ. ნინოშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| ორი ეტიუდი . . . . . | „ | 20 |
| როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად . . | „ | 25 |
| სახალხო ლექსები და ლეგენდები . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | » |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . | „ | 70 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა . . . | „ | 20 |


Дозволено цензурою. Тифлисъ 13-го Октября 1897 г. სტამბა ძ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.